ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 5

5 დეკემბერი 2017 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა განათლების და კულტურის, სახელდებისა და სიმბოლიკის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებთან ერთად.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქვა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კოისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე; რამინა ბერაძე; თემურ გორგაძე; ალექსანდრე ხუჯაძე,ლევან ჯაფარიძე, ლევან დარახველიძე,გოჩა თევდორაძე.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას გააგრძელებს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (№12-031733421-03)
2. 2009 წლის 20 თებერვლის ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №632/1) ცვლილების შეტანის შესახებ. (№12-03173382-03)
3. ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ.№10-ში (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი:01.14.11.10.010) მდებარე 2 კვმ მიწის ნაკვეთის ფიზიკური პირებისთვის: გულნარა მაღრაძისთვის (პირ.ნომერი: 01008012536), ლელა სიამაშვილისთვის (პირ.ნომერი 01018000241) და ირინე სიამაშვილისთვის (პირ.ნომერი 0101800241) პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზეხელშეკრულების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 5 მაისის №01-4/164 ბრძანებაზე თანდართული „აღნაგობის პირობების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან ფიზიკური პირების გულნარა მაღრაძის, ლელა სიამაშვილის და ირინე სიამაშვილის გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-03173382-03)
4. ქ.თბილისში,ი.ჭავჭავაძის გამზირი №76-ში მდებარე189003 კვმ მიწის ნაკვეთიდან 651კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.14.10.002.049) ფიზიკური პირისთვის გივი გორდაძისთვის (პირ.ნომერი 01010003118) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ 2011 წლის 12 იანვრის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს №01-4/8 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის და მისი დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 5 მარტის №01-4/18 ბრძანებაზე თანდართული „საიჯარო პირობების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტელოსაგან ფიზიკური პირის გივი გორდაძის გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-03173382-03)
5. ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მე-3 მიკრორაიონის კორპ. №28-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.024.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-03173382-03)
6. ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მ/რ-ში კორპ.№11-ში (საკ/კოდი:01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-03173382-03)
7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის შესახებ საკრებულოს განკარგულების პროექტები. (№12-031733868-03)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების მიერ დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გაიოზ თალაკვაძემ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა მცირდება 7,471.2 ათასი ლარით და შეადგენს 818,826.9 ათას ლარს. მცირდება შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რაც დაკავშირებულია მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან, რომლისთვისაც ასიგნებები გათვალისწინებულია 2018 წლის ბიუჯეტში. შესაბამისად, მცირდება ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილიც. გარდა ამისა, ბიუჯეტში ფაქტიურად მობილიზებული შემოსულობებიდან გამომდინარე მცირდება შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 25 000,0 ათასი ლარით და ამავე ოდენობით იზრდება შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან. ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფაქტიურად მიღებული თანხების გათვალისწინებით პროექტში ასახულია მიმდინარე ტრანსფერის მუხლიდან 500,0 კაპიტალური ტრანსფერის მუხლში გადატანა.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში მოძიებული რესურსი გადანაწილდა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე და დაწვრილებით იასუბრა ქვეპროგრამების ასიგნებების ზრდისა და შემცირების მიზეზებზე.

პრიორიტეტების მიხედვით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა მცირდება 5 464 190 ლარით.პრიორიტეტის ფარგლებში იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია 4,759.3 ათასი ლარით ვაგონების კაპიტალური შეკეთება-მოდერნიზაციის მიზნით, ხოლო მცირდება სატრანსპორტო იფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები მცურდება 1 315,0 ათასი ლარით, ხოლო საბაგირო ტრანსპორტის განვითარება 7 471,2 ათასი ლარით. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა,ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება მცირდება 1 812,7 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში იზრდება კრწანისის რაიონში 350,0 ათასი ლარით.იზრდება ასევე 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები 8,7 ათასი ლრით სტიქიის შედეგად დაზარალებული ერთი პირისთვის საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, ფულადი დახმარების გასაცემად. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება იზრდება 2 425,0 ათასი ლარით.მ.შ პრიორიტეტის ფარგლებში იზრდება დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 3 000,0 ათასი ლარით; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტი მცირდება 109,8 ათასი ლარით.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პრიორიტეტი მცირდება 60,0 ათასი ლარით.

პრიორიტეტი- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა იზრდება 2 142,8 ათასი ლარით. განათლების პრიორიტეტი მცირდება 2 657,1 ათასი ლარით. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა მცირდება 1 969,8 ათასი ლარით, რაც შეეხება წარმომადგენლობითი და აღმასრულებებლი ორგანოების პრიორიტეტს იზრდება 34,5 ათასი ლარით.

ბიუჯეტის წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით შეკითხვები ქონდათ ირაკლი ხადირაძეს,რაძიხა ბერაძეს, გოჩა თევდორაძეს. მათ შეკითხვებზე ზოგიერთი პროგრამის ასიგნებების ზრდასა და შემცირების მიზეზებთან დაკავშირებით დაწვრილებით განმარტა გაიოზ თალაკვაძემ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხსომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-7 , თავი შეიკავა -გოჩა თევდორაძე, წინააღმდეგი-ირაკლი ნადირაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: მიეცეს რეკომენდაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: 2009 წლის 20 თებერვლის ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების წასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №632/1) ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ

2009 წლის 20 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე შპს: "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრების უფლებით გადაეცა სხვადასხვა მოძრავი ქონება მათ შორის დიზელ გენერატორი (ექსპ.შესვლის წელი 1998). მყიდველი პასუხისმგებელი იყო გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე. შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა წერილებით მიმართა სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს და სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს:რომ დაედგინათ აკმაყოფილებდა თუ არა დიზელ-გენერატორი უნივერსიტეტის უწყვეტ ელექტრომომარაგების მოთხოვნას და მისი

სიმძლავრიდან გამომდინარე, უზრუნველყოფდა თუ არა საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელ გარემოს. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით „შპს "შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული, 1984 წელს გამოშვებული დიზელ-გენერატორი, რომლის აქტიური სიმძლავრე შეადგენს 60კვტ-ს, ვერ დააკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელ, უწყვეტი ელექტრომომარაგებისთვის მოთხოვნილ 500კვტ სიმძლავრეს. აღნიშნული დიზელ-გენერატორის კონსტრუქციული თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ავტომატური გაშვების სისტემით უზრუნველყოფა, რის გამოც საკმაო დროით, მოხდება ელექტრომომარაგების შეწყვეტა, აღნიშნული დიზელ გენერატორი, როგორც ადგილზე დათვალიერებით დგინდება, საჭიროებს კაპიტალურ პროფილაქტიკურ-სარემონტო სამუშაოების ჩატარებას". ამ დასკვნების გათვალისწინებით, კომპანიამ მოითხოვა 2009 წლის 20 თებერვლის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტისათვის დაკისრებული დიზელ გენერატორთან დაკავშირებული ვალდებულების მოხსნა და გადაცემული ქონების თბილისის თვითმმართველი ერთეულისთვის უსასყიდლოდ დაკუთრებაში დაბრუნება.

მომხრე-8 , წინააღმდეგი-ირაკლი ნადირაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: მიეცეს რეკომენდაცია „2009 წლის 20 თებერვლის ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხეშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №632/1) ცვლილების შეტანის შესახებ" საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ.№10-ში (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი:01.14.11.10.010) მდებარე 2 კვმ მიწის ნაკვეთის ფიზიკური პირებისთვის: გულნარა მაღრაძისთვის (პირ.ნომერი: 01008012536), ლელა სიამაშვილისთვის (პირ.ნომერი 01018000241) და ირინე სიამაშვილისთვის (პირ.ნომერი 0101800241) პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზეხელშეკრულების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 5 მაისის №01-4/164 ბრძანებაზე თანდართული „აღნაგობის პირობების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან ფიზიკური პირების გულნარა მაღრაძის, ლელა სიამაშვილის და ირინე სიამაშვილის გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის თქმით 2008 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებისა და 2011 წლის 5 მაისის N01-4/164 ბრძანების საფუძველზე ფიზიკურ პირებს: გულნარა მაღრაძეს, ლელა სიამაშვილს და ირინე სიამაშვილს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 2023 წლის 25 სექტემბრამდე ვადით გადაეცათ ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი N10-ში 2 კვ.მ მიწის ნაკვეთი კიბის უჯრედის განთავსების/მოწყობის მიზნით. წლიური აღნაგობის ღირებულება შეადგენდა 68 ლარს და გადახდა უნდა მოეხდინათ 6 თვეში ერთხელ, არაუგვიანეს 30 მაისისა და 30 ნოემბრისა, 34 ლარის ოდენობით. აღნაგობის უფლების მქონე პირის მიერ 34 ლარის ნაცვლად გადახდილი იქნა 32 ლარი, ანუ აღნაგობის საზღაურის გადასახდელ თანხას დააკლდა 2 ლარი. აღნიშნული დავალიანება, დაფარულია იქნა 2017 წლის 5 ივნისს. 2016 წლის 30 ნოემბრიდან 2017 წლის 5 ივნისის ჩათვლით, აღნაგობის საზღაურის დავალიანების 2 ლარის გადაუხდელობისთვის აღნაგობის უფლების მქონე პირებს დაერიცხა პირგასამტეხლო, დღეში 1 ლარის ოდენობით, რაც ჯამში განისაზღვრა 181 ლარის ოდენობით. ირინე სიამაშვილმა ითხოვა დარიცხული პირგასამტეხლოს 181 ლარის პატიება. საკითხი ასევე განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ შექმნილმა კომისიამ და ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით რეკომენდაცია მიეცა დაკისრებული 181 ლარის ოდენობი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე.საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობისათვის.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრება გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია „ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ.№10-ში (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი:01.14.11.10.010) მდებარე 2 კვმ მიწის ნაკვეთის ფიზიკური პირებისთვის: გულნარა მაღრაძისთვის (პირ.ნომერი: 01008012536), ლელა სიამაშვილისთვის (პირ.ნომერი 01018000241) და ირინე სიამაშვილისთვის (პირ.ნომერი 0101800241) პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზესელშეკრულების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 5 მაისის №01-4/164 ბრძანებაზე თანდართული „აღნაგობის პირობების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან ფიზიკური პირების გულნარა მაღრაძის, ლელა სიამაშვილის და ირინე სიამაშვილის გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ ქ.თბილისში,ი.ჭავჭავაძის გამზირი №76-ში მდებარე189003 კვმ მიწის ნაკვეთიდან 651კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.14.10.002.049) ფიზიკური პირისთვის

გივი გორდაძისთვის (პირ.ნომერი 01010003118) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" 2011 წლის 12 იანვრის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს №01-4/8 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის და მისი დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 5 მარტის №01-4/18 ბრძანებაზე თანდართული „საიჯარო პირობების" საფუძველზე დაკისრებული პირგასამტხელოსაგან ფიზიკური პირის გივი გორდაძის გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ. მისი თქმით 2012 წლის 5 მარტის N01-4/18 ბრძანების საფუძველზე, ფიზიკურ პირს -გივი გორდაძეს პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით, 2036 წლის 12 იანვრამდე გადაეცა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N76-ში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 651 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N01.14.10.002.049) საბავშვო ცენტრის განთავსების/მოწყობის მიზნით. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვრა 8463 ლარი, საჯარო ქირის გადახდა ხდებოდა 6 თვეში ეროხელ 4231,50 ლარის ოდენობით. საიჯარო პირობების თანახმად, პირგასამტეხლო შეადგენს ქირის 0.1%-ს (8.46ლარი) მაგრამ არანაკლებ 1 ლარისა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მოიჯარის მიერ 4231,50 ლარის ნაცვლად გადახდილ იქნა 4240 ლარი ანუ 8.50 ლარით ზედმეტი საიჯარო ქირა, 2017 წლის 28 მარტს მოიჯარის მიერ 4223 ლარის ნაცვლად გადახდილ იქნა 4221,96 ლარი, ამდენად 2017 წლის 28 მარტის მდგომარეობით გადასახდელი საიჯარო ქირის ოდენობას დააკლდა 1,04 ლარი. გივი გორდაძის მიერ 1,04 ლარის დავალიანების დაფარვა განხორციელდა 11 აგვისტოს და 28 მარტიდან 11 აგვისტოს ჩათვლით, 1,04 ლარის გადაუხდელობითვის გივი გორდაძეს დაერიცხა პირგასამტეხლო, დღეში 8,46 ლარის ოდენობით, რაც ჯამში, 136 დღეზე განისაზღვრა 1150.88 ლარი. გივი გორდაძე ითხოვს დარიცხული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებას. საკითხი განხილულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" შექმნილმა კომისიამ რეკომენდაცია მისცა გივი გორდაძეს დაკისრებული - 1150,88 ლარის ოდენობი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე.

მომსრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრება გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია „ ქ.თბილისში,ი.ჭავჭავაძის გამზირი №76-ში მდებარე189003 კვმ მიწის ნაკვეთიდან 651კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.14.10.002.049) ფიზიკური პირისთვის გივი გორდაძისთვის (პირ.ნომერი 01010003118) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" 2011 წლის 12 იანვრის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს №01-4/8 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის და მისი დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული

პირის ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 5 მარტის №01-4/18 ბრძანებაზე თანდართული „საიჯარო პირობების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტხელოსაგან ფიზიკური პირის გივი გორდაძის გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მე-3 მიკრორაიონის კორპ. №28-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.024.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის აგვისტოსა და ნოემბრის თვეში შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობამ: ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლების III მიკრორაიონის N28 კორპუსში (ს/კ N01.18.13.024.017) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემაზე, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. კრწანისის რაიონის გამგეობის წერილების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადაცემა ელეონორა უგულავასთვის.

მომხრე - 8 . თავი შეიკავა-ირაკლი ნადირაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: მიეცეს რეკომენდაცია „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მე-3 მიკრორაიონის კორპ. №28-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.024.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მ/რ-ში კორპ.№11-ში (საკ/კოდი:01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, კრწანისის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, 32 მოქალაქეს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცემათ ფართები ფონიჭალის დასახლების მეოთხე მ/რ-ში კორპ.№11-ში. ამ ფართებს ისინი ფლობენ წლების განმავლობაში.

მომხრე - 8 . თავი შეიკავა-ირაკლი ნადირაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: მიეცეს რეკომენდაცია:"ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მ/რ-ში კორპ.№11-ში (საკ/კოდი:01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის შესახებ საკრებულოს განკარგულების პროექტები.

ირაკლი ზარქუამ კომისიის წევრებს გააცნო, რომ საკრებულოში წარმოდგენილია თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის" , „თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს" და თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს" რეორგანიზაციის შესახებ საკითხები.

მომხრე - 8 . თავი შეიკავა-ირაკლი ნადირაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა: მიეცეს რეკომენდაცია „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის შესახებ საკრებულოს განკარგულების პროექტების საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა